№216 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალის გაზრდისა და ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი – 37 01 03) გამოყოფილი ასიგნებიდან უზრუნველყოს:

ა) სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალის გასაზრდელად 53 000 000 (ორმოცდაცამეტი მილიონი) ლარის შპს „საქართველოს მელიორაციის“ ანგარიშზე გადარიცხვა წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, სარწყავი სისტემის ზონაში დამშრობი ქსელის რეაბილიტაციის, სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შეძენის მიზნით, სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლოატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად;

ბ) სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისათვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-

შენახვის ღონისძიებებისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ანგარიშზე 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის გადარიცხვა.

2. ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად შპს „საქართველოს მელიორაციას“ მიეცეს უფლება, განახორციელოს მაგისტრალური სარწყავი არხების პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, სარწყავი სისტემების შიდასამეურნეო ქსელების, ასევე სადრენაჟო სისტემების მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხებისა (შიდასამეურნეო კვლების-ორნატი) და ქსელების სარეაბილიტაციო და საექსპლოატაციო ღონისძიებები.

3. ამ განკარგულებით შპს „საქართველოს მელიორაციისათვის“ გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ტექნიკურ და საავტორო ზედამხედველობასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა (14 მიმდინარე და 10 დასრულებულ ობიექტზე) განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**